სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N150102243
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	04.02.2015 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ირმა ბერიძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**თბილისი,გრიგოლ რობაქიძის გამზირი N7, კორპ. N4-6**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2905754
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	33666848489615

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საჭართველო, ორიათასთხუთმეტი წლის ოთხი თებერვალი

ჩემთან, ნოტარიუს ირმა ბერიძესთან სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი №7 კორპუსი №4-6, გამოცხადდა **ლერი მსხვილიძე** (დაბადებული 19.10.1980წ. ბაღდათი რეგისტრირებული მისამართზე თბილისი, ვ. გორგასალის ქ. 111, კორპუსი 3, ბინა 18, პირადი №09001002090). მან წარმომიდგინა წინამდებარე განცხადება და მოითხოვა მასზე თავისი, როგორც შპს "კლინიკური ონკოლოგიის ინტიტუტი"-ს ს/კ 404905821 დირექტორის ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, ქმედუნარიანობა შევამოწმე და დავრწმუნდი რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. შემდეგ მან პირადად ჩემი თანდასწრებით შეასრულა თავისი ხელმოწერა რასაც ვამოწმებ. მე ნოტარიუსი წინამდებარე დოკუმენტში მოყვანილ ფაქტებს არ ვადასტურებ. დოკუმენტი წარმოდგენილია ერთ გვერდად.

გადახდილია საზღაური სამი ეგზემპლარისთვის 6.00 ლარი და რეგისტრაციის საზღაური 2.00 ლარი სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების №507 (29.12.2011წელი) 31-ე მუხლის და 39 მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე.

ნოტარიუსი ---------- ირმა ბერიძე

განცხადება

წინამდებარე განცხადებით შპს „კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404905821), ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი ლერი მსხვილიძე (პირადი ნომერი: 09001002090), წარმოვადგენ რა ზემოხსენებულ საზოგადოებას, როგორც მესაკუთრეს უძრავი ნივთისა - მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით: 01.13.02.006.037; მისამართი: ქ. თბილისი, ჩაჩავას ქ. N1/ლუბლიანას ქ. N5 - საზოგადოების სახელით თანხმობას ვუცხადებ ზემოთ დასახელებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე შპს „თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა ოფთალმიჯი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 211357663) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე - საკადასტრო კოდი 01.13.02.009.018; მისამართი ქ. თბილისი, მ. ჭიაურელის ქ. N7 - მშენებარე შენობა-ნაგებობის ნებისმიერ სართულზე განათავსდეს ნებისმიერი რაოდენობისა და ზომის ფანჯრების ღიობები შპს „კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი“-ს საკუთრებაში არსებული ნიწის ნაკვეთის მხარეს.

განცხადებული თანხმობა არის შეუქცევადი და მისი სამართლებრივი შედეგები ჩემთვის ცნობილია.

წინამდებარე განცახდება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შპს „თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა ოფთალმიჯი“-ს, ხოლო ერთი რჩება თანხმონის გამცემთან.

შპს „კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი“
ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე
უფლებამოსილი პირი
დირექტორი ლერი მსხვილიძე
პირადი N09001002090

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N141062120
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	29.09.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ირმა ბერიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი,გრიგოლ რობაქიძის გამზირი N7, კორპ. N4-6
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2905754
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	21374522031014

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორიათასთოთხმეტი წლის ოცდაცხრა სექტემბერს მე, ირმა ბერიძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი №7 კორპუსი №4-6, მომმართა ბატონმა **ბესარიონ ქვარცხავამ, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს "საბა"-ს ს/კ 202157593 დირექტორი,** რომელმაც მოითხოვა საზოგადოების დირექტორის სახელით შესაბამისი თანხმობის შედგენა და თავისი, როგორც საზოგადოების დირექტორის ხელისმოწერის დამოწმება სანოტარო წესით.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად

ბესარიონ ქვარცხავამ (დაბადებული 22.02.1959წ. თბილისი, პირადი №01007001222, მისამართი თბილისი, თევდორე მღვდლის II ჩიხი №11) მომმართა.

მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, რის შემდეგ შევადგინე თანხმობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან განაცხადა, რომ თანხმობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე თანხმობას, რასაც ვამოწმებ.

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

საჭიროებისამებრ წარსადგენად

მე, **შპს "საბა"-ს ს/კ 202157593 წარმოდგენილი დირექტორის, ბესარიონ ქვარცხავას სახით (მონაცემები მოცემულია ზემოთ),** როგორც მესაკუთრე უძრავი ქონების მდებარე მისამართზე ქალაქი თბილისი, ქუჩა ჩაჩავა, №1/ლუბლიანას ქუჩა №5, ს/კ №01.13.02.006.035 საზოგადოების სახელით თანახმას ვაცხადებ საზოგადოების საკუთრებაში არსებული ზემოთ მითითებული უძრავი ქონების მომიჯნავე შპს "თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა ოფთალმიჯი"-ს ს/კ 211357663 საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მდებარე მისამართზე ქალაქი თბილისი, მიხეილ ჭიაურელის ქ. №7 ს/კ №01.13.02.009.018 მშენებარე შენობა-ნაგებობების ნებისმიერ სართულზე **შპს "საბა"-ს** მხარეს განთავსდეს ნებისმიერი რაოდენობისა და ზომის ფანჯრის ღიობები, რაზედაც შემდგომში პრეტენზია არ მექნება.

შედგენილია ორ ეგზემპლარად, გადახდილია საზღაური: 4.00 ლარი და რეგისტრაციის საზღაური 2.00 ლარი სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების №507 (29.12.2011წელი) 31-ე მუხლის და 39 მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე.

ბესარიონ ქვარცხავა, როგორც შპს "საბა"-ს დირექტორი _____

ნოტარიუსი _____ ირმა ბერიძე

საქართველო. ნოტარიუსი ირმა ბერიძე GEORGIA. NOTARY IRMA BERIDZE 01001038016